



რეგისტრაციის N _____

მიღების თარიღი: __/__/__

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: const@constcourt.ge; ვებგვერდი: www.constcourt.ge

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

I. ფორმალური ნაწილი

1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:

საქართველოს სახალხო დამცველი		ნინო რამიშვილის N6, თბილისი, 0179
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	(+995 32) 2913814	info@ombudsman.ge
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება [შენიშვნა 1](#)

„საქართველოს მოქალაქეები - ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ლლონტი, გიორგი ლობჯანიძე და არჩილ ალავეძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ რეგისტრაციის N764, თარიღი: 06.06.2016

შენიშვნა 1 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება შენიშვნა 2

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებას. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის დახმარებას და იგი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონტექსტში.

საკონსტიტუციო სარჩელის თანახმად, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის კონსტიტუციურობის შეფასება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლთან და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით.

კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება „ადგენს პირის პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძვლებს, განამტკიცებს გარანტიას, რომ ნებისმიერი დანაშაული და სასჯელი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში“;¹ „უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას წინასწარ დადგენილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად შეძლოს იმის განჭვრეტა, თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევის შესაბამისად წარმართვა, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა თვითნებური დევნისა და ბრალდების წინააღმდეგ.“²

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება არამხოლოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დავისრებისათვის შესაბამისი კანონის არსებობის აუცილებლობას, არამედ ადგენს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონის ხარისხობრივ სტანდარტებს. პასუხისმგებლობის დაწესებისას კანონმდებელი შეზღუდულია განსაზღვრულობის პრინციპით. [...] ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, იგი კავშირშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და წარმოადგენს ამ უფლებით დაცული სფეროს ნაწილს. შესაბამისად, სადავო ნორმა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პასუხობს განსაზღვრულობის კონტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს. [...] განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო

შენიშვნა 2 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს „სასამართლოს მეგობრის“ არგუმენტები და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები რომლებითაც ის ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

¹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

²საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში აკრძალული ქმედების ნიშნები და წარმართოს საკუთარი ქცევა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. [...] დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენა, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი და მისი მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს თავისი ქცევა, ამასთან, დაცული იყოს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან.“³

„აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები.“⁴

„პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა შესაძლებელია იძლეოდეს სასამართლოს მიერ მისი განმარტების, ინტერპრეტაციის საშუალებას და კანონის მიერ გაკეთებული დათქმის კონკრეტულ სიტუაციასთან შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას. მართალია, შეუძლებელია, კანონმა გაითვალისწინოს ყველა იმ შემთხვევისა თუ სიტუაციის თითოეული ასპექტი, რომელიც მომავალში განვითარდება, მაგრამ კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაზღვრისას ვალდებულია, მიიღოს ნორმა, რომელიც მაქსიმალურად ამცირებს მისი ინტერპრეტაციის ფარგლებში სასამართლოს მიერ განსხვავებული სამართლებრივი შედეგის დადგენის შესაძლებლობას. [...] ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა.“⁵

„კანონი შეიძლება ჩაითვალოს განუსაზღვრელად, როცა განმარტების ყველა მეთოდი მოსინჯულია, მაგრამ მაინც გაურკვეველია მისი ნამდვილი შინაარსი, ანდა არსი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი მოქმედების ფარგლები.“⁶

„კანონიერების პრინციპი სამართლის ზოგადი პრინციპია, მაგრამ იგი სპეციფიკურად ვლინდება სისხლის სამართალშიც, კერძოდ, აღნიშნული პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ანალოგიის აკრძალვას და ლეგალობის პრინციპის დამკვიდრებას. მართლაც, კანონიერების პრინციპის თანახმად, ყველა ქმედება,

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონში.⁷

„სისხლის სამართალს აქვს საგარანტიო ფუნქცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში⁸ აისახა ჯერ კიდევ ანსელმ ფოიერბახის სახელმძღვანელოში მოცემული კანონიერების პრინციპი, რომელიც ევროპული სისხლის სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს: „nullum crimen, nulla poena, sine lege“ („არ არსებობს სასჯელი, არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე.“) [...] დღეისათვის სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში ასახული კანონიერების პრინციპიდან. [...] კანონიერების პრინციპი კრძალავს ბრალდებულის საზიანოდ შემდეგი ოთხი ძირითადი აკრძალვითი დებულების გამოყენებას: 1.კანონის უკუძალის აკრძალვა (lex praevia), 2.ანალოგიის აკრძალვა (lex stricta); 3.დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის გამოყენების აკრძალვა (lex scripta), 4.ნორმის განუსაზღვრელობის აკრძალვა (lex certa).“⁹

„კანონიერების პრინციპი სახელმწიფო სისხლისსამართლებრივი იძულების თვითნებური გამოყენებისა და გავრცელებისგან მოქალაქის დაცვის გარანტიაა [...] გამოცხადებულია, რომ მხოლოდ დაწერილ კანონს შეუძლია შემოიღოს რაიმე ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობა და დაადგინოს სასჯელი, შესაბამისი ქმედების სამართლებრივი შედეგის სახით [...] ამის გარდა, დასჯადობის კონკრეტული პირობები და შესაბამისი სამართლებრივი შედეგებიც ქმედების ჩადენამდე უნდა იყოს ჩამოყალიბებული კანონში.“¹⁰

„ქართული სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი. სისხლისსამართლებრივი განსჯის საგანია არა უბრალოდ ადამიანის აზრი, სურვილი, ხასიათი ან ცხოვრების წესი, არამედ კონკრეტული ქმედება, რომელიც ზიანის მიყენების ან საფრთხის შექმნისკენ არის მიმართული. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი (სისხლის სამართლის კოდექსის 108–413-ე მუხლები) დანაშაულად აცხადებს მხოლოდ კონკრეტულ ქმედებებს. სწორედ ამიტომ, მოქმედება ფართო გაგებით (მოქმედება და უმოქმედობა)

⁷ „გამონაკლისი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი, სადაც სისხლის სამართლის სფეროში დაშვებული იყო ანალოგიის პრინციპი. [...] პროფესორი თინათინ წერეთელი ყოველნაირად ასაბუთებდა ანალოგიის გაუქმების აუცილებლობას. ანალოგია საბჭოთა კავშირში გაუქმდა 1958 წელს.“ იხ. გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ. 82-83

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლი:

„1. ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს.

2. დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი:

„1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.“

⁹ მერაბ ტურავა „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.108–109

¹⁰ იოჰანეს ვესელი, ვენერ ზოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.18–19

წარმოადგენს დანაშაულის სისტემის პირველ მნიშვნელოვან ნიშანს. ქმედების შემადგენლობა ზუსტად უნდა იყოს აღწერილი კანონში, რომ ამით განხორციელდეს სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქცია.¹¹

„განსაზღვრულობის პრინციპის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონებში ჩამოყალიბებული ქმედების შემადგენლობები და მათი სამართლებრივი შედეგები განსაზღვრულობის რაიმე მინიმალური დონით მაინც უნდა ხასიათდებოდნენ (nulla poena sine certa). [...] დანაშაულის შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები ისე კონკრეტულად უნდა იყოს აღწერილი, რომ ნორმის განმარტებისას, მისი არსი და მნიშვნელობა შეცნობადი იყოს.“¹²

„კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს,“ კრძალავს სამოსამართლო სამართალს, როგორც სამართლის წყაროს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობების გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელს. კანონის ტექსტი, ჩვეულებრივ აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებებიც განმარტებას მოითხოვს. გარდა ამისა, მოსამართლეს ხშირად უწევს იმ ურთიერთობის გადაწყვეტა, რომელიც არაა მოწესრიგებული სამართლის ნორმით.“¹³ „ჩვეულებითი სამართლის ან ანალოგიის გამოყენებამ არც დანაშაულის ახალი შემადგენლობის შექმნამდე უნდა მიგვიყვანოს და არც, ქმედების ჩამდენის საზიანოდ, უკვე არსებული დანაშაულის შემადგენლობის გაფართოებამდე ან გამკაცრებამდე (nulla poena sine lege scripta et stricta).“¹⁴

„კანონის განმარტება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ (contra legem) სისხლის სამართალში აკრძალულია, რადგან იგი კანონიერების პრინციპს ეწინააღმდეგება. სისხლის სამართლის კანონის განმარტება მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპსაც, რადგან სასამართლო ამგვარად საკუთარი მიხედულებით ცვლის სისხლის სამართლის ნორმას, ამ უფლებას კი კონსტიტუცია მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტს ანიჭებს (საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი). ნორმის საკანონმდებლო განმარტებას „ზოგადსავალდებულო ძალა აქვს.“¹⁵

საკონსტიტუციო სარჩელის ავტორების მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე

საკონსტიტუციო სარჩელის ავტორების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 16 მაისს მიღებული განაჩენით, „სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბრალდებულებმა: გ. ლ.–მ¹⁶, გ. ლ.–მ¹⁷, ა. ა.–მ¹⁸, ნ. კ.–მ¹⁹ და დ. წ.–მ²⁰ ჩაიდინეს წინასწარი შეთანხმებით

¹¹ მერაბ ტურავა „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ. 165

¹² იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.19–20

¹³ ირაკლი დვალიძე, გიორგი თუმანიშვილი, ნინო გვენეტაძე „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“ თბილისი, 2015 წ. გვ. 91–92–93

¹⁴ იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.20

¹⁵ ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2010 წ. გვ.91

¹⁶ 2013 წლის 18 ივლისიდან – 2014 წლის 01 იანვრამდე მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

¹⁷ 2013 წლის 26 ივლისიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეყიდვების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

¹⁸ 2011 წლის 19 ივლისიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მათ მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, დიდი ოდენობით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.“

დანაშაულის სუბიექტთან დაკავშირებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ „ბრალდებულების მოქმედებები განაპირობებდა თანხების გამოყოფას და თავდაცვის სამინისტროს საჭიროების შესაბამისად ხარჯვას, რაც სწორედ რომ თანხების გამგებლობას გულისხმობს. [...] მათ მოქმედებას მოჰყვა სამინისტროსთვის საბიუჯეტო თანხების გამოყოფა, რაც დასტურია იმისა, რომ თანხები სწორედ ბრალდებულების გამგებლობაში იმყოფებოდა.“ ქმედების სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ „სს „ს.–თან“ მოთხოვნის შეუსაბამო ხელშეკრულების გაფორმება კი ცალსახად მიუთითებს ბრალდებულების განზრახვაზე, რომ მათ მიერ შერჩევა მოხდა [...] მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების სურვილით. სასამართლოსთვის გაუგებარია რა ალტერნატიული მიზანი უნდა არსებობდეს შეისყიდო საკუთარი მოთხოვნის შეუსაბამო მიწოდება [...] თანაც საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ძვირად თუ არა ამის გააზრებული განზრახვა.“ „რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სწორედ დანაშაულის ისეთ შემადგენლობასთან, რომლის კვალიფიკაციაზე მოტივი გავლენას ვერ ახდენს.“ წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით სასამართლოს განმარტებით, „ბრალდებულების ქმედებები მიმართული იყო სწორედ სს „ს.–ის“ მიერ სამინისტროს ასიგნებების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხის იმ ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისკენ. [...] ბრალდებულების სწორედ ამ მიზნით მოქმედებას ადასტურებს მათ მიერ სს „ს.–ს“ წინასწარ 2 თვით ადრე²¹ ინფორმირება იმ სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე, რომელიც ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული.“

მოცემული საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

ქმედების შემადგენლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამდენად, „კანონმდებელი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ანუ დანაშაულს [...] აქედან გამომდინარე, განსაზღვრულ ქმედებას დანაშაულად, უპირველეს ყოვლისა, აკვალიფიცირებს კანონმდებელი.“²² „დანაშაულის ამ განმარტებით ქართველმა კანონმდებელმა გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულება შემოიტანა.“²³ „დანაშაულის ცნების სტრუქტურა

¹⁹ 2012 წლის 17 ნოემბრიდან მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსად.

²⁰ 2013 წლის 29 მარტიდან მუშაობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის ინფორმაციული სისტემების სამმართველოს უფროსად.

²¹ გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისად, მოცემულ თარიღამდე ე.ი. შესყიდვის გამოცხადებამდე 2 თვით ადრე მსჯავრდებულები: გ. ღ. და გ. ლ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არ მუშაობდნენ (სამინისტროში მუშაობა დაიწყო 2013 წლის ივლისში).

²² გურამ ნაკყებია, „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“ თბილისი, 2002 წ. გვ.7

²³ ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2010 წ. გვ.61

3 ნიშნისგან შედგება: ქმედების შემადგენლობა ანუ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი; ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალი. დანაშაულის ცნების სტრუქტურის ამ სამივე ნიშნის თანაარსებობა წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და საკმარის საფუძველს.²⁴

„ქმედების შემადგენლობა, ე.ი. პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ქმედების შემადგენლობა არ არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი. იგი განსხვავდება ქართულ სისხლის სამართალში მანამდე არსებული ე.წ. დანაშაულის შემადგენლობის ძველი კონსტრუქციისგან (ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე), რომელიც თავის თავში მოიცავდა დანაშაულის ყველა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშანს.“²⁵

„სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში, შესაძლებელია, სუბიექტურ შემადგენლობაზე სახელდებით არაფერი იყოს მითითებული, მაგრამ ობიექტური შემადგენლობა, ფართოდ თუ ვიწროდ, ყოველთვის არის აღწერილი. ვინაიდან ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობით პასუხისმგებლობა მხოლოდ კონკრეტული ქმედებისთვის არის დადგენილი, ამიტომ ფაქტობრივად, ობიექტურად განხორციელებული ქმედების სისხლის სამართლებრივ შეფასებას, ანუ შეიძლება თუ არა კონკრეტულად განხორციელებული ნიშნები მიესადაგოს კონკრეტული დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს, პირველადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. ქმედების ობიექტური შემადგენლობა არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის პირველი პრინციპული მნიშვნელობის კრიტერიუმი.“²⁶

„ქმედების შემადგენლობაში“ [...] იგულისხმება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რადგან ამ კანონით გაუთვალისწინებელი ქმედება არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს.“²⁷
„ქმედების შემადგენლობის დაკანონებას დანაშაულის ცნების სტრუქტურის ერთ-ერთ სავალდებულო ნიშნად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა თავისუფლების გარანტიისთვის. ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია. პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს კანონით ზუსტად აღწერილი ქმედების ჩადენა და არა პიროვნების საშიში მდგომარეობა.“²⁸

„დანაშაული ქმედების შემადგენლობის შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებაა. არსებობს ფუნქციონალურად ურთიერთდამოკიდებული შეფასების მომდევნო საფეხურები: ქმედების შემადგენლობასთან შესაბამისობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. [...] დასჯის შესაძლებლობის წინაპირობა ბრალის არსებობაა; ბრალეული მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება იყოს; შემოწმების აუცილებლობა მხოლოდ ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედებებისთვისაა სავალდებულო, მათი მართლწინააღმდეგობის ან მართლზომიერების დასადგენად; ქმედების

²⁴ ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი“, პირველი წიგნი, მე-2 შევსებული გამოცემა. „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია. თბილისი, 2008 წ. გვ.77

²⁵ მერაბ ტურავა „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება“ გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011 წ. გვ. 52-53

²⁶ ირაკლი დვალიძე, გიორგი თუმანიშვილი, ნინო გვენეტაძე „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“ თბილისი, 2015 წ. გვ.97-98

²⁷ გურაბ ნაჭყებია „სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“ თბილისი, 2002 წ. გვ.50

²⁸ ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი“, პირველი წიგნი, მე-2 შევსებული გამოცემა. „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია. თბილისი, 2008 წ. გვ.78

შემადგენლობის შესაბამისი კი, დელიქტთა კონკრეტული სახეობების თვალსაზრისით, არ შეიძლება იყოს ისეთი მოვლენა, რომელიც სისხლის სამართლის მიზნებისთვის ქმედებას არ წარმოადგენს. ერთმანეთზე გადაჯაჭვული, შეფასების აღნიშნული საფეხურების სისტემურ-ფუნქციონალურ დინებაში, დამაკავშირებელი ელემენტი ქმედებაა. იურიდიული განსჯის ყველა სტადია, ისევე როგორც შეფასების თანამდევნი პროცესი, სწორედ მას უკავშირდება (ე.წ. ქმედების დამაკავშირებელი ფუნქცია).²⁹

„დანაშაულის იურიდიული ცნება ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაციის შედეგია. ამაში მდგომარეობს ხელისუფლებათა განაწილების პრინციპი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია. მაშასადამე, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა თავის გამოხატულებას სისხლის სამართალშიც პოულობს. ეს ბუნებრივია, რადგან ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო და სასამართლო კვალიფიკაცია ერთიანია, ე.ი. სასამართლომ ჩადენილ ქმედებას ისეთივე კვალიფიკაცია უნდა მისცეს, როგორც ეს თავის დროზე დააკვალიფიცირა კანონმდებელმა.“³⁰

„შემადგენლობის დადგენა ზღვარს უდებს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ყოველგვარ თვითნებობასა და სუბიექტივიზმს, რადგან ჩადენილი ქმედება კანონის შესაბამისად და ფარგლებში უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულად.“³¹ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება. ცხადია, რომ სისხლის სამართლის კანონით გაუთვალისწინებელი ქმედება დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს.“³² „სისხლის სამართალი ქმედების სამართალია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები მეტი თუ ნაკლები სისრულით აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. [...] დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნა დანაშაულობათა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლაში კანონიერების საგარანტიო ფუნქციას ასრულებს.“³³

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტები: მიზანი და მოტივი

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას წარმოადგენს: „ა) განზრახვა [...]; ბ) ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ელემენტები: მიზანი და მოტივი.“³⁴

„თუკი ქმედების ობიექტური შემადგენლობა დანაშაულის გარეგანი დახასიათებაა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები დანაშაულის შინაგან დახასიათებას იძლევა. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არის იმ ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც იძლევა ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების დახასიათებას. დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში დანაშაულის სუბიექტური ნიშნებიდან ზოგიერთი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილება, ნაწილი – ბრალის ეტაპზე. შესაძლებელია, ერთი და იგივე სუბიექტური ნიშანი ან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ან ბრალის ეტაპზე იქნას განხილული. მაგალითად, მოტივი ქმედების შემადგენლობის ნიშანია, თუ კანონმდებელმა იგი ქმედების შემადგენლობის ნიშნად გამოაცხადა. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლით

²⁹ იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.48

³⁰ გურამ ნაჭყებია „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“ თბილისი, 2002 წ. გვ.13

³¹ გურამ ნაჭყებია „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“ თბილისი, 2002 წ. გვ.64

³² გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.84

³³ გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.87

³⁴ მერაბ ტურავა „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.66

გათვალისწინებულ დანაშაულში (ბავშვის შეცვლა) მოტივი ქმედების შემადგენლობის ნიშანია. თუ მკვლელობა ანგარებითაა ჩადენილი, მაშინ მატერიალური დაინტერესება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე განიხილება, ხოლო ანგარება, როგორც შეფასებული მოტივი, ბრალის ეტაპზე განიხილება, რადგან ქართული სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალის სპეციალურ ნიშნებს (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი).³⁵

იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია სხვისი ქონების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მითვისების მიზნით. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ნივთის დაზიანება ან განადგურება როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით.“³⁶ „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სუბიექტური მხარე განზრახვას გულისხმობს და იგი უმეტეს შემთხვევაში პირდაპირია. [...] ამასთან, ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს ამოდრავებს ანგარების მოტივი და მიზანი. მხოლოდ ქონების დანაშაულებრივი განადგურება ან დაზიანება შეიძლება ჩადენილი იქნეს ამ მოტივისა და მიზნის გარეშე.“³⁷

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული „დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას: დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ითვისებს ან ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც მას აქვს მინდობილი, ითვისებს რომ თავისი ამ მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს კიდევაც ზიანის მიყენება. ამ დროს იგი ხელმძღვანელობს ანგარებითი მოტივით და მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლის მიღებას სხვის ხარჯზე.“³⁸

„სამართლებრივი აზროვნების სფეროში კაცობრიობის უდიდეს მიღწევად ითვლება ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრება სისხლის სამართალში. ბრალეული პასუხისმგებლობის სრულყოფილი ანალიზი ყოველად შეუძლებელია ნებელობითი ქცევის ანალიზის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს მოტივაციის, მოტივისა და მიზნის არსის რაციონალურ და დასაბუთებულ გააზრებას.“³⁹

„სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ყველა ავტორისათვის საერთოა ის აზრი, რომ მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა [...], რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება, ხოლო მიზანი ის აზრობრივი მოდელია, რისი მიღწევაც პირს სურს დანაშაულის ჩადენით; თუკი მოტივი პასუხობს კითხვას – რატომ ჩაიდინა პირმა დანაშაული? მიზანი პასუხია კითხვაზე – რისკენ მიისწრაფოდა დამნაშავე?“⁴⁰

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, „მიუხედავად იმისა,

³⁵ ირაკლი დვალიძე, გიორგი თუმანიშვილი, ნინო გვენეტაძე „კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში“ თბილისი, 2015 წ. გვ.101-102

³⁶ მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მე-4 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.364

³⁷ მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომეტარი)“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 1999 წელი. გვ.13-14; მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მე-4 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.366-367

³⁸ მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მე-4 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.390; მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომეტარი)“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 1999 წელი. გვ.48

³⁹ ირაკლი დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3. გვ.238

⁴⁰ ირაკლი დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3 გვ.242

რომ სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტის ქცევის მოტივზე და მიზანზე მითითება ყოველთვის არ გვხვდება, უმოტივო ქცევა, როგორც დანაშაულის წინაპირობა, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია და ამიტომ დანაშაულებრივი ქმედების მოტივების დადგენა მაინც აუცილებელი ხდება. სხვანაირად ქმედება სწორად გამოძიებული და შეფასებული ვერ იქნება.⁴¹ „ზოგჯერ კანონის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული შემადგენლობის სუბიექტური მხარის ისეთ ნიშნებზე, როგორცაა მიზანი, მოტივი, სულიერი აღელვება, ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლომ [...] საგანგებოდ არ შეისწავლოს არ იკვლიოს რა მიზანი ჰქონდა დასახული განსასჯელს, რა მოტივით მოქმედებდა ის. ერთი სიტყვით, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს განსასჯელის სულიერი მდგომარეობა ქმედების ჩადენის დროს.“⁴² „ვინაიდან დანაშაული ნებელობითი ქმედებაა, არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენისას მოტივისა და მიზნის დადგენა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა.“⁴³

„სუბიექტის ქცევის მიზანი განსაზღვრავს ხელყოფის ობიექტის ხასიათსაც. სწორად აღნიშნავს ი.დვალიძე, რომ „მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედებები სხვადასხვა ობიექტებს ხელყოფენ.“ [...] თუ სუბიექტის ქცევის მიზანი არ ვიცით, ხელყოფის ობიექტის დადგენა შეუძლებელია. პროფ. თ. წერეთელი სავსებით სწორად უსვამდა ხაზს მიზნის მნიშვნელობას ქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის.“⁴⁴

„მოტივი და მიზანი, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში აუცილებელ ნიშნებადაა შეტანილი, დანაშაულთა სახეების ერთმანეთისაგან გამიჯვნის საშუალებას იძლევა. მართებულად მიუთითებს ო.გამყრელიძე, რომ უმართლობა მხოლოდ ობიექტური ნიშნებისაგან არ შედგება და ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორცაა მიზანი, საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ობიექტურად მსგავსი დელიქტები [...] სწორედ მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედებები სხვადასხვა ობიექტს ხელყოფს. ამიტომ ზოგიერთი სუბიექტური ნიშანი მთლიანად არ მიეკუთვნება ბრალს. მაგალითად, თუ საქართველოს დასუსტების მიზნითაა განადგურებული საწარმო, გვექნება საბოტაჟის შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება (სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო ასეთი მიზნის გარეშე – ნივთის განადგურება (სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი); ხულიგნური ქვენა გრძნობით ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება დაკვალიფიცირდება (სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) და არა (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება).⁴⁵

„მოტივი არის ფსიქოლოგიური ცნება, ხოლო სისხლის სამართალში მოტივის სხვა ცნება კი არ ყალიბდება,

⁴¹ გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.290

⁴² ოთარ გამყრელიძე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი“, პირველი წიგნი, მე-2 შევსებული გამოცემა. საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია. თბილისი, 2008 წ. გვ.102

⁴³ ირაკლი დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3 გვ.264

⁴⁴ გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.294

⁴⁵ ირაკლი დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3 გვ.268

არამედ მოტივის, როგორც ადამიანის ქცევის ფსიქიკური საზრისის, მიხედვით ხდება ადამიანის დანაშაულებრივი ქმედების შეფასება.⁴⁶ პროფ. გ.ნაჭყებიას მოსაზრებით, სისხლის სამართალში დანაშაულებრივი ქცევის შემდეგ მოტივებს განასხვავებენ: 1.ანგარება 2.ხულიგნური ქვენაგრძნობა, 3.ეჭვიანობა, 4.შურისძიება, 5.სისხლის აღება, 6.რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივი, 7.რელიგიური მოტივი, 8.ყალბად გაგებულ სასამართლებრივი ინტერესი ან კარიერიზმი, 9.ნათესაური გრძნობა.⁴⁷ მისი განმარტებით, „ანგარება, როცა სუბიექტი დანაშაულს სჩადის ქონებრივი ინტერესით (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა და ა.შ), ან გამორჩენით (მაგალითად, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ანდა არსებული ქონებრივი მდგომარეობის (მაგალითად, ვალის შერჩენის სურვილით) შენარჩუნებისთვის.“⁴⁸

იურიდიულ ლიტერატურაში ანგარების მოტივი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით შემდეგნაირად არის განმარტებული: „ანგარება გამდიდრებისკენ მისწრაფებაა. [...] ანგარებით მკვლელობად ჩაითვლება მკვლელობა, რომელიც ჩადენილია მსხვერპლთან ერთად შეძენილი საერთო საკუთრების დასაუფლებლად, მემკვიდრეობის ან სადაზღვევო თანხის მისაღებად, მატერიალური ხარჯებისგან გასათავისუფლებლად (მაგალითად, ავადმყოფის მოვლის, ალიმენტის გადახდის, ვალის დაბრუნებისგან თავის არიდების და სხვა შემთხვევაში), [...] რაიმე თანამდებობის დაკავების მიზნით, თუ იგი უკავშირდება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. [...] ჩაითვლება ანგარებითი მოტივით ჩადენილად იმისდა მიუხედავად, ვინ მიიღებს მატერიალურ გამორჩენას თვითონ დამნაშავე თუ სხვა (მაგალითად, ოჯახის წევრი, ახლობელი ან სხვა პირი), რომლის ინტერესი მნიშვნელოვანია დამნაშავეისთვის.“⁴⁹

„ლოგიკურია, თუ ვიტყვით, რომ უმართლობის ჩამდენის პერსონალური (სუბიექტური) გაკიცხვა მაშინ შეიძლება, თუ მას თავისუფალი ქცევის შესაძლებლობა აქვს. ვინაიდან დანაშაული ნებელობითი ქცევაა, ამიტომ მოტივისა და მიზნის დადგენას უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის. მოტივისა და მიზანს სისხლის სამართალში შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები: 1)ისინი საშუალებას იძლევიან, დანაშაულებრივი ქმედება გავმიჯნოთ არადანაშაულებრივისაგან. მაგ., სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით, თუ ნივთს მითვისების მიზნით არ ეუფლებიან, არ გვექნება ქურდობა; 2)მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობისათვის. მაგალითად, სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობისას; 3)მოტივი და მიზანი ხშირად საშუალებას იძლევა, ობიექტურად მსგავსი დელიქტები გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან; 4)მოტივი და მიზანი ზოგჯერ ქმნის დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას; 5)მოტივისაგან განსხვავებით, მიზანმა შეიძლება დააფუძნოს დანაშაულის პრივილეგირებული შემადგენლობა; 6)მოტივი და მიზანი გვეხმარება, დავადგინოთ ბრალის ხარისხი; 7)მოტივისაგან განსხვავებით, დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აუცილებელია, შემსრულებელსა და თანამონაწილეს საერთო მიზანი ჰქონდეთ; 8)მოტივი და მიზანი საშუალებას იძლევა, დავადგინოთ დანაშაულის ჩადენის სტადია. და ბოლოს, წარმოჩნდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე

⁴⁶ გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.289

⁴⁷ გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.290-291-292

⁴⁸ გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბილისი, 2011 წ. გვ.290

⁴⁹ მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი“, გამომცემლობა „მერიდიანი, თბილისი, 2011 წ. გვ.46-47

მუხლის მე-3 ნაწილით სასჯელის დანიშვნის დროს მოტივსა და მიზანთან კავშირში თუ რა გარემოებებს უნდა მიექცეს ყურადღება.⁵⁰

„მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხშირად ქმედების მატერიალურ მართლწინააღმდეგობას სუბიექტური ელემენტი აფუძნებს. ქართველი კრიმინალისტებიდან თ.წერეთელი ერთ–ერთი პირველი იყო, ვინც ობიექტური მართლწინააღმდეგობის დამაფუძნებელ ნიშნად მიზანი დაასახელა. უფრო მოგვიანებით თ.წერეთელი უმართლობის სუბიექტურ ელემენტებს შედარებით დაწვრილებით შეეხო და სუბიექტურ ელემენტებად დაასახელა მიზანი, შეცნობადობა და სხვ. მაგალითად, თუ ნივთი მართლსაწინააღმდეგოდ არაა მისაკუთრებული, ქმედებას ქურდობად ვერ დავაკვალიფიცირებთ; ანდა თუ ფალსიფიკაცია (სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლი) ანგარებითი მოტივით არაა განხორციელებული, მაშინ ასეთი ქმედება არ ატარებს დანაშაულებრივ ხასიათს.“⁵¹

ამდენად, გაფლანგვისთვის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ერთ–ერთი დანაშაულისთვის, აუცილებელია ანგარების მოტივით მოქმედება.

ქმედების ობიექტური შემადგენლობა

„შედეგიანი დამთავრებული დელიქტის ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნებია: სუბიექტი, სამართლებრივი სიკეთე (ობიექტი), ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა (რომელიც დაუწერელი ნიშანია), დანაშაულის ჩადენის ადგილი, ვითარება, დრო, ხერხი და საშუალება. [...] საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დანაშაულად მიჩნეულია არა რაიმე აზრი ან იდეა, არამედ კონკრეტული ქმედება, რომლის გარეშეც არ არსებობს დანაშაული. კანონმდებელი ნებისმიერი დანაშაულის განხორციელებას უკავშირებს ქმედებას, რომელსაც ახორციელებს ადამიანი (სუბიექტი) ამა თუ იმ სამართლით დაცული სიკეთის წინააღმდეგ. მაშასადამე, სუბიექტი, სამართლებრივი სიკეთე და ქმედება არის დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძირითადი, აუცილებელი ნიშნები.“⁵²

„კანონის საშუალებით სასჯელის ყოველი დაწესებისას კანონმდებელი კონკრეტულ ნორმაში ქმედებასთან და მის ამსრულებელთან დაკავშირებულ იმ ნიშნებს აერთიანებს, რომელთა არსებობაც ქვევის დასჯადობის აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის განსაზღვრა, თუ რა კომპლექსი უნდა მივაკუთვნოთ ქმედების შემადგენლობას, მისივე ცნების სტრუქტურის ფუნქციურ მნიშვნელობაზეა დამოკიდებული.“⁵³

„რაც შეეხება ზოგიერთ შემადგენლობას, იგი შეიძლება განახორციელოს მხოლოდ სპეციალურმა სუბიექტმა. [...] თუ პირს არ გააჩნია სპეციალური სუბიექტისთვის დამახასიათებელი თვისება, [...] მას, როგორც ამსრულებელს, არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულის

⁵⁰ ირაკლი დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007–2–3 გვ.292–293

⁵¹ ირაკლი დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007–2–3 გვ.264–265

⁵² ირაკლი დვალიძე, გიორგი თუმანიშვილი, ნინო გვენეტაძე „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“ თბილისი, 2015 წ. გვ. 97

⁵³ იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.66

ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო. სუბიექტის ასეთი თვისება მოწმდება სწორედ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე.⁵⁴

„ქმედების შემადგენლობასთან ამსრულებლობაზე მოძღვრების კავშირის გამო, ამსრულებლის ცნების კრიტერიუმები ანგარიშს უწევენ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის თავისებურებას. მთელი რიგი დელიქტებისთვის მოქმედებს წესი, რომ ამსრულებლის თვისებები მხოლოდ იმ მოქმედ პირს აქვს, რომელიც ამსრულებლის პიროვნებისთვის დანაშაულის შემადგენლობის მიერ დაწესებულ განსაკუთრებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. [...] ამსრულებლობის დასადასტურებლად სპეციალურ კრიტერიუმებს მიენიჭებათ თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა, პირველ რიგში ცალკეული დანაშაულის შემადგენლობის რედაქციიდან და სტრუქტურიდან უნდა ამოვიცნოთ. [...] ამრიგად, ნამდვილი სპეციალური დელიქტებისთვის განსახილველი ამსრულებელთა წრე კანონის ნორმაში აღწერილი ქმედების შემადგენლობით შეპირობებული ამსრულებლის განსაკუთრებული სტატუსის საშუალებითაა შეზღუდული.“⁵⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში.“

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით პირის დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია პირის მიერ ქონების მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებობა. მოცემული მუხლის საკანონმდებლო დეფინიციის შესაბამისად, იურიდიულ ლიტერატურაშიც მითითებულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ამსრულებელი სპეციალურია. „მითვისებისა და გაფლანგვისთვის დამახასიათებელია ის, რომ დამნაშავე უფლებამოსილია ჰქონდეს ქონება მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში.“⁵⁶

მიუხედავად ამისა, ბუნდოვანია სწორედ ნივთის ან ქონებრივი უფლების „გამგებლობის“ საკითხი, რადგან პირისთვის წინასწარ განჭვრეტა რა შემთხვევაში არის შესაძლებელი მისი ქმედების გაფლანგვად დაკვალიფიცირება, ფაქტობრივად შეუძლებელია. „გამგებლობის“ ცნება იძლევა ფართო განმარტების შესაძლებლობას. მოსარჩელების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში თანხა ჩაითვალა მსჯავრდებულების „გამგებლობაში“ არსებულად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხის განკარგვა მათ მიერ არ განხორციელებულა.

თანხის (რომლის გაფლანგვისთვის სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები: გ. ლ., ნ. კ., ა. ა., გ. ლ. და დ. წ. დამნაშავედ ცნო), გამოყოფა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს თავდაცვის

⁵⁴ მერაბ ტურავა „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება“ გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011 წ. გვ.164

⁵⁵ იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.294-295

⁵⁶ მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მე-4 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.389; მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის (კომეტარი)“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 1999 წელი. გვ.46-47

სამინისტროსთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის N2176 განკარგულების⁵⁷ საფუძველზე განხორციელდა.

.....⁵⁸⁵⁹

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში არსებული თანხის განკარგვის უფლებამოსილება ჰქონდა და აქვს საქართველოს მთავრობას. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ თავით გათვალისწინებული ფონდების გარდა, სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების⁶⁰ განმკარგავი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. მოცემული კოდექსის იმავე თავით (მე-4 თავი) გათვალისწინებულ ერთ-ერთ ფონდს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები.⁶¹ იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხებს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მთავრობის გადაწყვეტილება ფორმდება მთავრობის დადგენილებით ან განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. იმავე კანონის

⁵⁷ განკარგულების თანახმად, „1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი ოპტიკური ხაზისა და მის შესაერთებლად საჭირო აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით. 2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარით და აღნიშნული თანხით შეამციროს საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის გათვალისწინებული ასიგნებები.“

⁵⁸
⁵⁹

⁶⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი:
„1. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდეზად მოიცავს: ა) საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას; ბ) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას; გ) საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს; დ) საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს; ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს; ვ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს; ზ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს.“

⁶¹ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი 50 000.0 ათასი ლარის ოდენობით და მათი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების პუნქტის შესაბამისად, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს. მთავრობის სამართლებრივ აქტებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

„საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 მარტის N54 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მთავრობის სამართლებრივი აქტები შეიძლება მიღებულ იქნეს მთავრობის სხდომაზე მათი განხილვის შემდეგ ან „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით. იმავე დადგენილების მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, პროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევარი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენშიც არის მითითება, რომ გაფლანგვისთვის აუცილებელია ქონების მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულია თანხის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანო და დამნაშავედ ცნობილ პირებს გაფლანგულად შერაცხული თანხის განკარგვის უფლებამოსილება არ ჰქონდათ, სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულების მიერ შესყიდვების პროცესში მონაწილეობის გამო თანხა მათ გამგებლობაში არსებულად ჩაითვალა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის⁶² (მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-6 კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო სისტემების დეპარტამენტის უფროსების), ასევე, მოცემული დეპარტამენტების სამმართველოების უფროსების და სპეციალისტების უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში არსებული თანხის განკარგვა. ამასთან, გაფლანგულად შერაცხული თანხის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ დამნაშავედ ცნობილ პირებს. ამასთან, შესყიდვის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებული იქნა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტის - ქმედების სუბიექტისთვის დამახასიათებელი ცნების „გამგებლობის“ შინაარსი სამართლის შემფარდებელს აძლევს მოცემული ნორმის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იმგვარად, რომ შექმნას ახალი შემადგენლობა, კერძოდ, თუ პირს არ აქვს უფლებამოსილება განკარგოს ნივთი ან ქონებრივი უფლება, არ მიუღია გადაწყვეტილება მისი განკარგვის თაობაზე, ამასთან, საკანონმდებლო აქტი პირდაპირ განსაზღვრავს ნივთის განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანოს, სასამართლომ მისი ქმედება შეაფასოს როგორც „გამგებლობა.“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის საკანონმდებლო დეფინიციის გათვალისწინებით აღნიშნულის განჭვრეტა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ,

⁶² „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის #297 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი: „სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი: ა) წარმოადგენს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს; ბ) ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მოხელეებს შორის და აძლევს მათ მითითებებს და განკარგულებებს; გ) ხელს აწერს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს; დ) მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულია დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის წარმართვისათვის; ე) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანების შესასრულებლად; თ) ასრულებს ამ დებულებით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, მინისტრის ან მისი დავალებით მინისტრის მოადგილეების მიერ განსაზღვრულ სხვა ამოცანებს.“ ანალოგიურია „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 05 აპრილის #119 ბრძანებულების (2013 წლის 22 ნოემბრამდე მოქმედი) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის უფლებამოსილება.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებული კანონიერების პრინციპის უზრუნველყოფისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის ნორმა პირს აძლევდეს შესაძლებლობას წინასწარ განსაზღვროს წარმოადგენს თუ არა ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – გაფლანგვის სუბიექტს ე.ი. პირს, ვის გამგებლობაში იმყოფებოდა სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება. აღნიშნულის განსაზღვრა შეუძლებელია „გამგებლობის“ ცნების ბუნდოვანების გამო, რადგან გაურკვეველია რა ნორმატიული შინაარსის მატარებელია ცნება „გამგებლობა.“

საერთო სასამართლოების პრაქტიკა

აუცილებელია აღინიშნოს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განვითარებული წინააღმდეგობრივი და არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

ერთ-ერთ საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაში⁶³ სასამართლომ განმარტა: „საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის დისპოზიციით, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნივთი იმყოფება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ხოლო დამნაშავე ქონების მართლზომიერ მფლობელობას ან გამგებლობას ახორციელებს სამსახურებრივი მოვალეობის, სახელშეკრულებო ურთიერთობის თუ სპეციალური დავალების სახით.“

მიუხედავად ამგვარი განმარტებისა, გადაწყვეტილებაში არ არის განმარტებული „გამგებლობის“ ცნების შინაარსი, არც ის საკითხი, „გამგებლობა“ გულისხმობს თუ არა განკარგვის უფლებამოსილებას ან გამორიცხავს თუ არა განკარგვის უფლებამოსილების არქონა „გამგებლობის“ შესაძლებლობას.

სხვა საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში⁶⁴ მითითებულია, რომ ნ.ს.-ს ქმედება დაკვალიფიცირებულია სხვისი მოძრავი ნივთის მითვისებად და უშუალოდ მართლზომიერ მფლობელობად შეფასებულია ის გარემოება, რომ ნ.ს.-მე მუშაობდა სს „---ის“ ხონის ფილიალის უფროსად, დარღვევით, ერთპიროვნულად ასრულებდა ფილიალის უფროსის, ბუღალტრისა და მოლარის მოვალეობებს, რა დროსაც ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნებისა და ბუღალტრული დოკუმენტების წარმოების წესის დარღვევით, მათი მოუწესრიგებლობით, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული სალაროს წიგნის წარმოების წესების დაუცველად, ჯიხურებიდან მიღებული ნავაჭრი თანხის შესაბამის ბუღალტრულ საბუთებში გაუტარებლობით განზრახ, არაერთგვის, მართლსაწინააღმდეგოდ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ითვისებდა სს „-ის“ კუთვნილ თანხებს, რომლებიც უნდა შეეტანა სს „---ში“, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სააქციო საზოგადოებას.“

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში⁶⁵ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა: ვ.რ., მუშაობდა რა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ბაღდათის სატყეო მეურნეობის დირექტორად, მის სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებს „საქართველოს ტყის კოდექსის“, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 14 სექტემბრის ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის 2001 წლის 27 ივნისის „სამასალე

⁶³ 2007 წლის 17 ივლისის #კოლ-5 გადაწყვეტილება იხ. <http://praktika.supremecourt.ge/node/582>

⁶⁴ 2004 წლის 15 ივლისის N2კ-201აპ.-04 გადაწყვეტილება

⁶⁵ 2008 წლის 25 ივლისის N2კ-1818აპ.-07 გადაწყვეტილება

ხე-ტყის (მორების) საბაზრო ფასების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე წარმოადგენდა ჩამორთმეული (სეკვესტრირებული) ხე-ტყის კანონით დადგენილი წესით რეალიზაცია. ვ.რ.-მ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით „საქართველოს ტყის კოდექსის“ 114-ე მუხლისა და საქართველოს ეკონომიკის, გამოყენებით „საქართველოს ტყის კოდექსის“ 114-ე მუხლისა და საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის 2001 წლის 27 ივნისის ბრძანების დარღვევით სეკვესტრირებული ხე-ტყის რეალიზაცია ნაცვლად 16 712 ლარისა, მოახდინა 5 024 ლარად. ვ. რ.-მ, მიანიჭა რა უპირატესობა ცალკეულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, გაფლანგა დიდი ოდენობით თანხა და სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 11 688 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში⁶⁶ დადგენილია, რომ ტ.ს. მუშაობდა რა სპს “გოგობერიძე და კომპანიაში” ექსპედიტორ-რეალიზატორის თანამდებობაზე და იყო მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მიითვისა და გაფლანგა საქონლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხების ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით⁶⁷ ძალაში დარჩა საოლქო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი: შ.გ.-ს, საბრალდებო დასკვნით, ბრალად შეერაცხა მის მართლზომიერ განმგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთის დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, ჩადენილი ორანიზებული ჯგუფის მიერ. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნული გამოიხატა მასში, რომ მუშაობდა რა იგი სს “ჭიათურმანგანუმის” დირექტორად მადნეულის გამდიდრებისა და ეკოლოგიის საკითხებში და იმყოფებოდა რა მის მართლზომიერ, სამსახურებრივ განმგებლობაში საზოგადოების მატერიალური ფასეულობა (ქონება), ამავე საზოგადოების გენერალურ დირექტორთან, აწვარდაცვლილ თანამზრახველ პირთან წინასწარი შეთანხმებით, (შპს) “ნოკინტერნის” საქართველოს ფილიალთან გააფორმა ხელშეკრულება ორი თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანის საფასურად სააქციო საზოგადოება “ჭიათურმანგანუმის” საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონების ნაწილის გადაცემის შესახებ, რაც შეთანხმებული არ ყოფილა საწესდებო კაპიტალში შეტანილი მატერიალური ფასეულობების განკარგვის კომპეტენციის მქონე ორგანოებთან – საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოსთან. ხელშეკრულებას ხელს აწერდა სს “ჭიათურმანგანუმის” დირექტორი შ.გ. სასამართლომ აღინიშნა ის გარემოება, ადგილი არ ჰქონია შ.გ.-ზე გაფლანგულად შერაცხული ქონების მისი მესაკუთრის (სააქციო საზოგადოება “ჭიათურმანგანუმი”) ფონდიდან ამოღებას ან ადგილმონაცვლეობას.

სხვა გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით⁶⁸, ო.ქ. მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საფელდეგერო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე და წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს. ამავე პერიოდში საფელდეგერო სამმართველოს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული სახაზინო საწარმო “ეროვნულ ზარაფხანასა” და სს “აზოტთან”. ხელშეკრულების თანახმად გაწეული საფელდეგერო მომსახურების შედეგად სახაზინო საწარმო “ეროვნულ ზარაფხანას” დაუგროვდა საფელდეგერო სამმართველოს დავალიანება 4000 ლარის ოდენობით, რაც საფელდეგერო სამმართველოს თანამშრომელთა ხელფასებსა და სოციალურ დახმარებაზე უნდა გახარჯულიყო. საფელდეგერო სამმართველოს იმჟამინდელმა უფროსმა ო.ქ.-მ ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სახაზინო საწარმო “ეროვნულ ზარაფხანას” წერილობით მოსთხოვა, რომ დავალიანების დასაფარავად დაემზადებინა და მიეწოდებინა

⁶⁶ 2001 წლის 08 მაისის N2კ-35აპ.-2001 გადაწყვეტილება

⁶⁷ 2003 წლის 24 ივლისის N2კ-171აპ.-03 გადაწყვეტილება

⁶⁸ 2003 წლის 11 დეკემბრის N2კ-122კოლ.-03 გადაწყვეტილება

საიუველირო ნაწარმი. ო.ქ.-მ საფელდეგრო სამმართველოს ინსპექტორ ზ.ე.-ს სახელზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე სახაზინო საწარმო “ეროვნული ზარაფხანიდან” ამ უკანასკნელის მეშვეობით მიიღო 3999,56 ლარის ღირებულების საიუველირო ნაწარმი: რაც საფელდეგრო სამმართველოს ბულალტერიაში არ აღრიცხა, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა და გაფლანგა. მოცემულ საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ სასამართლო კოლეგიამ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამო ო.ქ.-ს მიმართ დადგენილი გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით,⁶⁹ ბ.ქ.-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებისა და გაფლანგვისთვის, როცა ეს ნივთი იმყოფებოდა მის მართლზომიერ გამგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია მართლზომიერ გამგებლობად ჩაითვალა შემდეგი გარემოება: ბ.ქ.-ემ ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან მიიღო ქ. ბათუმის ---ის კუთვნილი, დიდი ოდენობის 25 ტონა პურის ფქვილი სოფელ ---ის მოსახლეობაში შეღავათიან ფასებში – 25 კგ-იანი ტომარა 14 ლარად – სარეალიზაციოდ. ბ. ქ-ემ მოახდინა 2 500 კგ პურის ფქვილის რეალიზაცია – 25 კგ-იანი ტომარა 15 ლარად, რის შედეგადაც მიღებული 1 500 ლარი მიითვისა, ხოლო დანარჩენი 22 500 კგ პურის ფქვილი, საერთო ღირებულებით – 12 500 ლარი – გაფლანგა, კერძოდ, გასცა მოსახლეობაზე ფულადი ანაზღაურების გარეშე, რითიც ქ. ბათუმის მერიას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით არ არის დადგენილი რა გარემოებები/ფაქტები შეიძლება ჩაითვალოს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების „გამგებლობად.“ მოცემულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილებებში რაიმე სახის ერთგვაროვანი განმარტება არ გვხვდება, პირიქით, „გამგებლობაში“ არსებულად შეფასებას საფუძველად დაედო ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გარემოებები. შესაბამისად, საერთო სასამართლოების პრაქტიკა გაურკვეველი და ურთიერთწინააღმდეგობრივია.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.“

„ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენა, როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება, აუცილებლად თანამსრულებლობას გულისხმობს და მხოლოდ თანამონაწილეობა საკმარისი არაა. [...] სამართლებრივი სიკეთისთვის შექმნილი საფრთხე გაცილებით უფრო დიდია, როდესაც ქმედების შემადგენლობის უშუალოდ რამდენიმე პირი ასრულებს. ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენა რომ იგულისხმებოდეს, ამაზე კანონმდებელი თავადვე მიუთითებდა (დანაშაულის ჩადენა თანამონაწილეთა მიერ) მას ახალი ცნების შემოტანა (ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმება) არ დასჭირდებოდა.“⁷⁰ ანალოგიურად არის ლიტერატურაში განმარტებული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფი საქართველოს სისხლის სამართლის

⁶⁹ 2007 წლის 04 ივნისის N23-1212აპ.-06 გადაწყვეტილება

⁷⁰ ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.252–253

კოდექსის 177-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოების დროს: „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფში შედიან მხოლოდ თანაამსრულებლები, ამიტომ რთული თანამონაწილეობა არ ქმნის ზემოაღნიშნულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას.“⁷¹

„თანაამსრულებლობა გაცნობიერებული და ნასურვები შეთანხმებული ქმედების გზით დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად ჩადენაა. [...] თანაამსრულებლობა სამუშაოს დანაწილებით მოქმედების პრინციპსა და როლების ფუნქციონალურ განაწილებას ეყრდნობა. ამ დროს ქმედებაში მონაწილე ყოველი პირი, როგორც „თანაბარუფლებიანი პარტნიორი“ ქმედების ჩადენის შესახებ მიღებულ ერთობლივი გადაწყვეტილებისა (დანაშაულის ერთობლივი გეგმა) და ქმედების შემადგენლობის ერთობლივი განხორციელების (დანაშაულის ერთობლივად შესრულება) თანამზიდავია ისე, რომ დანაშაულში შეტანილი ცალკეული წვლილები ერთ მთლიანობამდე ვითარდება და საერთო შედეგი ყოველ მონაწილეს სრულად უნდა შეერაცხოს.“⁷²

„თანაამსრულებლობა მაშინაა სახეზე, თუ დანაშაულში მონაწილეს, საკუთარი წვლილით, მხოლოდ სხვისი მოქმედებისთვის ხელის შეწყობა კი არ სურს, არამედ აღნიშნული წვლილი ერთობლივი მოქმედების ნაწილი უნდა იყოს. ამასთან, ქმედებაში მონაწილე საკუთარ წვლილს სხვა პირის მოქმედების ნაწილის შესრულების სურვილით უნდა ეზიდებოდეს და, პირიქით, ამ უკანასკნელის მოქმედება ქმედებაში საკუთარი წვლილის შემავსებელ კომპონენტად უნდა სურდეს. [...] შეფასებისთვის მნიშვნელოვან საყრდენ წერტილებს დანაშაულის შედეგისადმი საკუთარი ინტერესი, დანაშაულში მონაწილეობის მოცულობა და ქმედებაზე ბატონობის სურვილი შეიძლება წარმოადგენდეს.“⁷³

„ობიექტური თვალსაზრისით, თანაამსრულებლობის დასადასტურებლად აუცილებელია, რომ დანაშაულში მონაწილე ყოველი პირი დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე და მისსავე ფარგლებში ახორციელებდეს დელიქტის ჩადენისთვის ხელშემწყობი წვლილის შეტანას.“⁷⁴

„საერთო გეგმაზე შეთანხმება როგორც სიტყვიერად, ასევე, კონკლუდენტურადაა შესაძლებელი. თანაამსრულებლობისთვის არაა აუცილებელი ამ საერთო გეგმის ყოველი დეტალის გათვალისწინება. [...] თანაამსრულებლობისას ნებისმიერ შემთხვევაში მოტივისგან განსხვავებით მიზანი ყველასთვის საერთო უნდა იყოს, მიზნის ერთიანობისთვის კი თანაამსრულებელთა ინტელექტუალური კავშირია საჭირო. სწორედ დანაშაულის განხორციელების საერთო გადაწყვეტილების არსებობის გამო შეერაცხება თითოეულ თანაამსრულებელს სხვის მიერ განხორციელებული ქმედება სრულად და იგი ქმედებათა მთელი მოზაიკისთვის ისე აგებს პასუხს, თითქოს, მას ეს ქმედებანი თავად პერსონალურად განეხორციელებინოს.“

⁷¹ შხია ლეკვეიშვილი, გოცა მამულაშვილი, ნონა თოდუა „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ წიგნი პირველი, მე-4 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.370–371

⁷² იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.297–298

⁷³ იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.298

⁷⁴ იოჰანეს ვესელი, ვენერ ბოიკლე „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაული და მისი აგებულება“ 38-ე გადამუშავებული გამოცემა (იგულისხმება ორიგინალი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ.299

ამ საერთო გადაწყვეტილების, საერთო მიზნის (წინასწარი შეთანხმება იქნება ეს თუ კონკლუდენტური) გარეშე თანაამსრულებლობა არ არსებობს.⁷⁵

„დანაშაულის გეგმა და დანაშაულის მიზანი ის სუბიექტური მომენტი, რომელიც თანაამსრულებლობის ობიექტურ მხარეში უნდა განვიხილოთ. ამ საერთო გეგმის გარეშე თანაამსრულებელთა ქმედების ურთიერთშერაცხვა შეუძლებელია. [...] სისხლის სამართლის დოგმატიკაში აქსიომად ითვლება შეხედულება, რომ თანაამსრულებლობა მხოლოდ განზრახ შეიძლება განხორციელდეს და გაუფრთხილებელი თანაამსრულებლობა დოგმატურად შეუძლებელია.“⁷⁶ „თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული აზრის მიხედვით კი თანაამსრულებლები მხოლოდ პირდაპირი განზრახვით მოქმედებენ.“⁷⁷ „თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: თანაამსრულებლები საერთო გადაწყვეტილების, საერთო მიზნის საფუძველზე უნდა მოქმედებდნენ. თუ პირებს საერთო მიზანი არ ამოძრავებთ, ისინი არც თანაამსრულებლები არ იქნებიან.“⁷⁸

„სიმულტანობის პრინციპის თანახმად, ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და სურვილი ქმედების ჩადენის დროს უნდა არსებობდეს. განზრახვას არ აფუძნებს წინმსწრები (dolus antecedens) და შემდგომი (dolus subsequens) „განზრახვა“. dolus antecedens ქმედების ჩადენის სურვილია, რომელიც შედეგის დადგომის დროს უკვე აღარაა აქტუალური. [...] dolus subsequens განზრახვის გარეშე (ზოგჯერ გაუფრთხილებლად) ჩადენილი ქმედების მიერ გამოწვეული შედეგის მოწონებაა.“⁷⁹

„თანაამსრულებლობისას პირებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ის ნიშნებიც შეერაცხებათ, რომლებიც სხვა თანაამსრულებლებმა განხორციელეს. ქართულ სისხლის სამართალში დასაშვებად ითვლება აგრეთვე მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში მითვისების მიზნის შერაცხვა იმ პირისთვის, ვისაც ქმედების შემადგენლობაში გათვალისწინებული მიზანი პირადად არ ამოძრავებს, მაგრამ ამ მიზნის არსებობა შეცნობილი აქვს. [...] რაც შეეხება განზრახვას, მისი ურთიერთშერაცხვა დაუშვებელია.“⁸⁰

„ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული აზრის მიხედვით, პერსონალური ხასიათი აქვს ანგარების მოტივსაც. [...] პირი, რომელიც ანგარების მოტივის გარეშე ეხმარება მკვლელს, რომელსაც ანგარების მოტივი ამოძრავებს, პასუხს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 108-ე მუხლით აგებს. მას ანგარების მოტივი არ შეერაცხება.“⁸¹

ამდენად, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენისთვის პირის/პირების დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია ერთობლივი გეგმის და საერთო მიზნის (შეთანხმების

⁷⁵ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.163–164

⁷⁶ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.165

⁷⁷ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.165

⁷⁸ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.166–167

⁷⁹ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2010 წ. გვ.93

⁸⁰ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.167

⁸¹ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი II. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011 წ. გვ.248

კონკრეტული დროის, მონაწილე პირების დადგენით) არსებობა, პირდაპირი განზრახვით ქმედების შემადგენლობის ერთობლივი განხორციელება (როლების ფუნქციონალური განაწილებით) და ამავდროულად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით, აუცილებელია დადგენილი იყოს ჯგუფის თითოეული წევრის როლი/ფუნქცია განხორციელებულ ქმედებაში. აღნიშნული საკითხების დაუდგენლობის გარეშე წინასწარი შეთანხმების ჯგუფის მიერ დანაშაულისთვის (მოცემულ შემთხვევაში – გაფლანგვისთვის) პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამდგენი კანონი უნდა გამოირიცხავდეს.

დასკვნა

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის, ასევე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედების დასადგენად აუცილებელი ელემენტების საკმარისი სიზუსტით განუსაზღვრელობის გამო იძლევა მისი ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებულ უფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქალაქეების: ნ. კ.-ს, დ. წ.-ს, გ. ღ.-ს, გ. ლ.-ს და ა. ა.-ს საკონსტიტუციო სარჩელი შეიცავს მნიშვნელოვან საკითხს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და რომლის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებული უფლების რეალიზაციას, მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი.
2. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ელექტრონული ვერსია.

ბ. სხვა დოკუმენტები:

- 1.
- 2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:

თარიღი:31.08.2016